საკრებულოს წევრის საქმიანობის ანგარიში

თვითმმართველი ერთეულის დასახელება: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი: ნატალია ზოიძე

საკრებულოში დაკავებული თანამდებობა: თავმჯდომარის პირველი მოადგილე

ფრაქციის წევრობა: ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო

კომისიების წევრობა: 1. იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია;
2. ჯანმრთელობის და სოციალურ საკითხთა კომისია

არჩევის წესი (მაჟორიტარის შემთხვევაში ოლქის მითითებით): პარტიული სიით

საანგარიშგებო პერიოდი: 2026 წელი

განხორციელებული საქმიანობები:

- ✓ საკრებულოს სხდომების რაოდენობა, რომლებშიც მონაწილეობდა ანგარიშის წარმდგენი _____ 11 _____

- ✓ საკრებულოს ამ სხდომებზე განხილული საკითხების რაოდენობა _____ 129 _____

- ✓ საკითხები, რომლებსაც საკრებულოს სხდომებზე მხარი არ დაუჭირა ანგარიშის წარმდგენმა_____ 0 _____

- ✓ საკრებულოს კომისიების სხდომების რაოდენობა, რომელშიც მიღო მონაწილეობა ანგარიშის წარმდგენმა _____ 15 _____

- ✓ კომისიების მიერ ამ სხდომებზე განხილული საკითხების რაოდენობა _____ 127 _____

- ✓ საკითხები, რომლებსაც კომისიების სხდომებზე მხარი არ დაუჭირა ანგარიშის წარმდგენმა_____ 0 _____

- ანგარიშის წარმდგენის მიერ საკრებულოში ინიცირებული საკითხები

- „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 აგვისტოს №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 30 მარტის N22 დადგენილება

- „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 1 დეკემბრის №გ-15.15253358 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 30 მარტის №გ-15.152608911 განკარგულება

- „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს 2026-2027 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 24 ივლისის №გ-15. 15262055 განკარგულება.

- მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა_____1045_____

- ამ შეხვედრებზე დამსწრე მოქალაქეთა რაოდენობა_____ 1000 -მდე

  სატელეფონო კომუნიკაცია _____ 34-მდე

- მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოკვეთილი ძირითადი საკითხები:

  - ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის პროგრამებით სარგებლობის საკითხები;
  - ავარიული ან/და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი საცხოვრებელი შენობების საკითხები;
  - ქუჩების და გზების რეაბილიტაცია;
  - წყალმომარაგების და წყალარინების სისტემის გამართვა.
  - „ხელმისაწვდომი საცხოვრისის“ საკითხები;
  - უსახლკაროთა რეგისტრაციის წესები;
  - შეჩერებული კოოპერატიული ბინათმშენებლობის საკითხი;
  - უძრავი ქონების დარეგისტრირებასთან დაკავშირებული საკითხები;

- პარკირების საკითხები;
- მშენებლობებით გამოწვეული პრობლემები;
- მატერიალური დახმარების საკითხები;
- დეზისენქცია/დერატიზაციის თემები;
- მაწანწალა ცხოველებით გამოწვეული პრობლემები;
- სატრანსპორტო სისტემისა და სერვისის საკითხები;

სხვა განხორციელებული საქმიანობები:

- ✓ ვარ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს თავმჯდომარე;
    - ჩავატარე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს 3 სხდომა, რომლებზეც სხვადასხვა მიმდინარე საკითხებთან ერთად განვიხილეთ:
- *როგორც ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს დებულება, შემადგენლობა, სამოქმედო გეგმა;*
- *ასევე ცნობიერების ამაღლების მიზნით სხვადასხვა კამპანიებში ჩართვის სამოქმედო გეგმები. კერძოდ: „ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მსოფლიო კამპანიისადმი“, „ქალთა კვირეულისადმი“ (2 მარტიდან 9 მარტის ჩათვლით), ძუძუს კიბოს დროული დიაგნოსტიკისა და პრევენციის მნიშვნელობის შესახებ კამპანიის სახელწოდებით „ვარდისფერი ოქტომბერი“*

- ✓ ვარ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ წევრი.
    - დავესწარი ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ _16_ სხდომას;
    - განხილულ იქნა 139 საკითხი.

- ✓ ვარ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის - ფესტივალების მხარდაჭერა“ კომისიის წევრი.

- ✓ ვარ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამის „კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა“ კომისიის წევრი.

- ✓ ვარ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამის „ახალგაზრდული ცენტრი“, ღონისძიების „ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა“ კომისიის წევრი.

- ✓ ვარ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამის „პროფესიული განვითარების ხელშეწყობა“ კომისიის წევრი.

- ✓ ვარ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამის „ხელოვანთა ხელშეწყობა“ ღონისძიების „საერთაშორისო კულტურულ პროექტებში მონაწილეთა დაფინანსება“ კომისიის წევრი.

- ✓ ვარ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ შუამდგომლობის მომზადების ორგანიზების მიზნით შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი.

შედეგი, ეფექტი:

- მოქმედი კანონმდებლობის თანახმად შეტანილი იქნა ცვლილება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შემადგენლობაში და ნაცვლად 11 წევრისა განისაზღვრა 13 წევრით;
- ასევე მიღებულ იქნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს სამოქმედო გეგმა;

- ჯანდაცვის სფეროში განხორციელდა შემდეგი პროგრამები:
  - ➢ მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მქონე პირთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატების კომპენსაციით უზრუნველყოფა;

- გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლი;
- ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული ფორმების დიაგნოსტიკა და პრევენცია;
- ფსიქიკური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია;
- მოწყვლადი ჯგუფების სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურება;
- შშმ სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო რეაბილიტაცია;
- ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია;
- ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტთა და ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა მატერიალური დახმარება;
- მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება;
- ქალაქ ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების მომსახურების განვითარება;
- თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება.

- სოციალური დაცვის მიმართულებით

- კომუნალური მომსახურების საფასურის სუბსიდირება;
- მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა;
- მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის სუბსიდირება;
- სარემონტო სამუშაოების ანაზღაურების უზრუნველყოფა, მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის შემთხვევაში;
- მზრუნველობამოკლებულ და უპოვარ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა;
- მოვლის საჭიროების მქონე პირთა ბინაზე მომსახურება;
- უფასო კვებით უზრუნველყოფა;
- დროებითი ღამის თავშესაფრით უზრუნველყოფა, ბენეფიციართა მინიმალური საყოფაცხოვრებო სტანდარტებით დაკმაყოფილება.

შემდეგი საანგარიშგებო პერიოდის ძირითადი პრიორიტეტები:

- ✓ მოქალაქეების საჭიროებებეის გამოვლენა და მათზე დროული რეაგირება
- ✓ ქალაქის ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა.